სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერება
პროგრამის ხელმძღვანელი	ავთანდილ ჯოხაძე
სწავლების ენა	ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავარი Bachelor of Political Science
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS 240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	27.11.2019 №10-09
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	01.09.2025 №04-25

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

(A) ხელი შეუწყოს მაღალი კომპეტენციის მქონე პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტების, საჯარო მოხელეებისა და სხვა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე კადრების მომზადებას:

(B) კურსდამთავრებულმა შეძლოს პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლების, პოლიტიკური აქტორებისა და მათი ქცევის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გაანალიზება და შეფასება;

(C) კურსდამთავრებულები აღჭურვოს პოლიტიკური საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და ინსტრუმენტებით, რაც დაეხმარება მათ იკვლიონ, შეიმუშაონ და მართონ პოლიტიკური პროცესები სხვადასხვა სამთავრობო და ადმინისტრაციულ ორგანოში;

(D) კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

(A) პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი კონცეფციები, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფოს ტიპები, მმართველობის ფორმები, პოლიტიკური რეჟიმები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი; ასევე, ლიბერალურ-დემოკრატიული, ტოტალიტარული, აღმოსავლეთის და დასავლეთის, ერთგვაროვანი და ფრაგმენტული, საბაზრო და ეტატისტური სუბკულტურების შესახებ თეორიები, მსოფლიო, გლობალური და შედარებითი პოლიტიკის საფუძვლები;

(B) პოლიტიკური მარკეტინგისა და საარჩევნო კამპანიის თეორიული, სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, საარჩევნო სისტემების, პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული სისტემების რაობა და ფუნქციონირების თავისებურებები;

(C) თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის რაობა, მისი სამართლებრივი მდგენელი, არსებული პრობლემატიკა და განვითარების ტენდენციები; საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვისა და განვითარების უახლესი პერსპექტივა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე; სამხრეთ კავკასიის კონტექსტის მნიშვნელობა, ასევე, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების პოლიტიკის თავისებურებები და განმაპირობებელი ფაქტორები.

უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

(D) პოლიტიკის სფეროში არსებული თეორიების, კონცეფციებისა და ინსტიტუტების გამოყენებით პოლიტიკური სისტემებისა და მიმდინარე პროცესების როგორც სოციო-პოლიტიკურ, ისე სამართლებრივ შეფასებას და დიაგნოსტირებას; პოლიტიკური ფიგურანტების მიერ დეკლარირებული პროგრამებისა და წინასაარჩევნო დაპირებების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რა ღირებულებების მატარებელია ესა თუ ის პოლიტიკური სუბიექტი და რა პროცესები დაიძვრება მათი გამარჯვების შემთხვევაში; პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებას; ასევე, პოლიტიკური მარკეტინგისა და საარჩევნო კამპანიის შესახებ საკუთარი დასკვნების არგუმენტაციას, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციას.

(E) შეაფასოს საფრთხეები, რომლის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა ორგანიზაცია და შესთავაზოს მათ სათანადო ცვლილება თეორიასა და ემპირიულ ანალიზზე დაყრდნობით; გაუწიოს რეკომენდაცია სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყებას; დახვეწოს და განავითაროს ელექტრონული მომსახურება;

(F) ემპირიული და სხვა სახეობის სოციალური კვლევების ჩატარებას თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით როგორც საზოგადო, ისე კერძო სექტორში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აკადემიური პატიოსნების სტანდარტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

(G) იცნობს მნიშვნელოვან აკადემიურ და ეთიკურ საკითხებს, რომლებიც ახასიათებს პოლიტიკის საგანს და იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს;

(H) ადგენს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას და შეუძლია განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის განსწავლულობის დონე განისაზღვრება შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი - საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში საქმიანობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები გულისხმობს შეფასების კრიტერიუმებს ანუ შეფასების მეთოდის საზომ ერთეულებს, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება განსწავლულობის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასებათა ჯამური მაქსიმუმიდან (100 ქულა) განკუთვნილი აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება, მათ შორის:	**70 ქულა**
წერითი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერითი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავარს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. მათ შორის:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- საჯარო ადმინისტრაციაში
- ადგილობრივ თვითმმართველობებში
- პოლიტიკურ პარტიებში
- მედიაში
- არასამთავრობო ორგანიზაციებში
- ლობისტურ ორგანიზაციებში
- ბიზნესში
- საქართველოში აკრედიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში და სხვ.

ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ტურიზმის დამატებითი სპეციალობის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვა. საერთაშორისო ურთიერთობების დამატებითი სპეციალობის შესწავლის შემთხვევაში - საჯარო დაწესებულებებში (სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტები), შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებში არასამთავრობო და კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მასმედიაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) პოლიტიკის მეცნიერების ან სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები
პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 30 ECTS, სავალდებულო კომპონენტი 138 ECTS: სავალდებულო სასწავლო კურსები - 108 ECTS და არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS. ინგლისური ენის კომპონენტი 24 ECTS (უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2). დარჩენილი 48 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)ისარჩევითი სასწავლო კურსებიდან. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2), საქმიანი კომუნიკაციები. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2). ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის. დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე: ● ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა ● ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა ● ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა ● ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა ● ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა ● ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა **შენიშვნა**: ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2) ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ, სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78 **შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	სასწავლო კომპონენტი											
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები											
1.	წინაპირობის გარეშე	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	6/150								29	121
2.	წინაპირობის გარეშე	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა				6/150					30	120
3.	წინაპირობის გარეშე	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6/150								42	108
4	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა						6/150			41	109
5.	წინაპირობის გარეშე	სახელმწიფო ენის საფუძვლები		6/150							28	122
	უცხო ენის კომპონენტი											

4.	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენა A1[1]	6/150								81	69
5.	ინგლისური ენა A1	ინგლისური ენა A2	6/150								81	69
6.	ინგლისური ენა A2	ინგლისური ენა – B1/1*	6/150								81	69
7.	ინგლისური ენა– B1/1	ინგლისური ენა – B1/2*		6/150							81	69
8.	ინგლისური ენა– B1/2	ინგლისური ენა – B2/1*			6/150						81	69
9.	ინგლისური ენა–B2/1	ინგლისური ენა – B2/2				6/150					81	69
		სავალდებულო სასწავლო კურსები										
10.	წინაპირობის გარეშე	მართვა-გამგეობა საქართველოში	6/150								29	121
11.	წინაპირობის გარეშე	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	6/150								30	120
12.	წინაპირობის გარეშე	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში			6/150						33	117
13.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	პოლიტიკური იდეოლოგიები			6/150						29	121
14.	წინაპირობის გარეშე	არჩევნები და საარჩევნო პროცესები		6/150							29	121
15.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში		6/150							29	121
16.	წინაპირობის გარეშე	მსოფლიო პოლიტიკა					6/150				28	122
17.	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური კომუნიკაცია				6/150					31	119
18.	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური მარკეტინგი			6/150						29	121
19.	წინაპირობის გარეშე	სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები				6/150					28	122

[1] შენიშვნა: ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

20.	წინაპირობის გარეშე	შესავალი სამართალში						6/150			28	122	
21.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	შედარებითი პოლიტიკა			6/150						29	121	
22.	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური თეორია		6/150							29	121	
23.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები					6/150				28	122	
24.	წინაპირობის გარეშე	ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები						6/150			29	121	
25.	სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები	პოლიტიკის მეცნიერებების კვლევის მეთოდები							6/150		29	121	
26.	ინგლისური ენა – B2/2	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)							6/150		42	108	
27.	I და VII სემესტრის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	საბაკალავრო ნაშრომი								6/150	12	138	
	არჩევითი სასწავლო კურსები		არჩევა შესაძლებელია								ECTS		
28.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	საჯარო პოლიტიკა		+	+	+	+	+	+	+	6/150	29	121
29.	წინაპირობის გარეშე	კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობის მშენებლობა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
30.	წინაპირობის გარეშე	გენდერი და პოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	28	122
31.	წინაპირობის გარეშე	ელექტრონული მმართველობა და კიბერუსაფრთხოება	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	28	122
32.	წინაპირობის გარეშე	ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	29	121
33.	წინაპირობის გარეშე	საჯარო მმართველობის საფუძვლები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	30	120
34.	წინაპირობის გარეშე/ინგლისური ენა B2/2	ქალაქის პოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119

		(ქართულ/ინგლისურ ენაზე[2])											
35.	წინაპირობის გარეშე	ნაციონალიზმის კვლევის საფუძვლები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
36.	წინაპირობის გარეშე	ენერგოპოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	30	120
37.	წინაპირობის გარეშე	ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	29	121
38.	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკის საფუძვლები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
39.	წინაპირობის გარეშე	ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების საფუძვლები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
40.	I-VII სემესტრების განმავლობაში გავლილი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	პრაქტიკა								+	6/150	58	92
41.	წინაპირობის გარეშე	ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში	+	+	+	+	+	+	+	+	7/175	29	144
42.	წინაპირობის გარეშე	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
43.	წინაპირობის გარეშე/ინგლისური ენა B2/2	საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები (ქართულ/ინგლისურ ენაზე)[3]	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
44.	წინაპირობის გარეშე	სპორტი და პოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	29	121
45.	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	28	122
46.	წინაპირობის გარეშე	ლიბერალიზმის წინაპირობები ქართულ ისტორიაში	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
47.	წინაპირობის გარეშე	ნატო-ს შეკავების პოლიტიკა და რუხი ზონის სამომავლო პერსპექტივები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
48.	წინაპირობის გარეშე	რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
49.	წინაპირობის გარეშე	ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორია	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	29	121
	საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები												
50.	წინაპირობის გარეშე	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	41	109

[2] შენიშვნა: წინაპირობა ინგლისური ენა B2/2 მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვინც აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე გაივლის.

[3] შენიშვნა: წინაპირობა ინგლისური ენა B2/2 მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვინც აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე გაივლის.

51.	წინაპირობის გარეშე	რელიგია და საზოგადოება	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	42	108
52.	წინაპირობის გარეშე	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	31	119
		სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30			
		წელიწადში	60		60		60		60				
		სულ	240										

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები							
	A	B	C	D	E	F	G	H
ხელი შეუწყოს მაღალი კომპეტენციის მქონე პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტების, საჯარო მოხელეებისა და სხვა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე კადრების მომზადებას:				X			X	
კურსდამთავრებულმა შეძლოს პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლების, პოლიტიკური აქტორებისა და მათი ქცევის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გაანალიზება და შეფასება;	X	X	X	X				
კურსდამთავრებულები აღჭურვოს პოლიტიკური საქმიანობისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ინსტრუმენტებით, რაც დაეხმარება მათ იკვლიონ, შეიმუშაონ და მართონ პოლიტიკური პროცესები სხვადასხვა სამთავრობო და ადმინისტრაციულ ორგანოში;		X		X	X			
კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.						X		X

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები							
			(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	D	P						X		
კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა	P						X	X		
ფსიქოლოგიის საფუძვლები	D						X			
აკადემიური წერა	P							X		
ინგლისური ენა - A1	D	P					X			
სახელმწიფო ენის საფუძველები	I						X			
ინგლისური ენა - A2	D	P					X			
ინგლისური ენა – B1/1*	D	P					X			
ინგლისური ენა – B1/2*	D	P					X			
ინგლისური ენა – B2/1*	D	P					X			
ინგლისური ენა – B2/2*	D	P					X			
საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)	P								X	
მართვა-გამგეობა საქართველოში	I	D		X	X					
შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	D		X	X		X				
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	I	D	X			X				
პოლიტიკური იდეოლოგიები	D		X			X				
არჩევნები და საარჩევნო პროცესები	D	P		X		X			X	
სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში	D		X		X					
მსოფლიო პოლიტიკა	D		X			X				
პოლიტიკური კომუნიკაცია	D	P		X	X	X			X	
პოლიტიკური მარკეტინგი	D	P		X		X			X	
სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები	P	M					X	X	X	X
შესავალი სამართალში	I	M					X	X		
შედარებითი პოლიტიკა	D		X	X						
პოლიტიკური თეორია	D		X			X				
პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები	D	P		X		X				
ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები	D	M	X	X	X	X	X	X	X	X

პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები	P	M					X	X		X
საბაკალავრო ნაშრომი	D	M					X	X	X	X

კურსის სტატუსი:

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

#	მოდული/საგანი	სწავლის შედეგები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X	
2.	კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა	X	X	X
3.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X
4.	აკადემიური წერა	X	X	X
5.	სახელმწიფო ენის საფუძვლები	X	X	X
6.	ინგლისური ენა A1	X	X	X
7.	ინგლისური ენა A2	X	X	X
8.	ინგლისური ენა – B1/1*	X	X	X
9.	ინგლისური ენა – B1/2*	X	X	X
10.	ინგლისური ენა – B2/1*	X	X	X
11.	ინგლისური ენა – B2/2	X	X	X
12.	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურად)	X	X	X
13.	მართვა-გამგეობა საქართველოში	X	X	X
14.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	X	X	X
15.	პოლიტიკური იდეოლოგიები	X	X	X
16.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	X	X	X
17.	არჩევნები და საარჩევნო პროცესები	X	X	X
18.	სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში	X	X	X
19.	მსოფლიო პოლიტიკა	X	X	X
20.	პოლიტიკური კომუნიკაცია	X	X	X
21.	პოლიტიკური მარკეტინგი	X	X	X
22.	სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები	X	X	X
23.	შესავალი სამართალში	X	X	X
24.	შედარებითი პოლიტიკა	X	X	
25.	პოლიტიკური თეორია	X		
26.	პრაქტიკა	X	X	X
27.	საბაკალავრო ნაშრომი	X	X	
28.	პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები	X	X	X
29.	საჯარო პოლიტიკა	X	X	X
30.	კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობის მშენებლობა	X	X	X
31.	გენდერი და პოლიტიკა	X	X	X
32.	ელექტრონული მმართველობა და კიბერუსაფრთხოება	X	X	X
33.	ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები	X	X	X
34.	საჯარო მმართველობის საფუძვლები	X	X	X
35.	ქალაქის პოლიტიკა ქართულ/ინგლისურ ენებზე	X	X	X
36.	ნაციონალიზმის კვლევის საფუძვლები	X	X	X
37.	ენერგოპოლიტიკა	X	X	X
38.	ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა	X	X	X
39.	სპორტი და პოლიტიკა	X	X	X
40.	ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში	X	X	X
41.	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	X	X	
42.	ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები	X	X	X
43.	საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები	X	X	X
44.	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	X	X	X

45.	რელიგია და საზოგადოება	X	X	X
46.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	X	X	X
47.	ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების საფუძვლები	X	X	X
48.	პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი	X	X	X
49.	ლიბერალიზმის წინაპირობები ქართულ ისტორიაში	X	X	X
50.	ნატო-ს შეკავების პოლიტიკა და რუხი ზონის სამომავლო პერსპექტივები	X	X	X
51.	რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა	X	X	
52.	პოლიტიკის მეცნიერებების კვლევის მეთოდები	X	X	X
53.	ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორია	X	X	X
54.	პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკის საფუძვლები	X	X	